# სტაჟირების პროგრამა
# „დაიწყე კარიერა საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში“

1. **პროგრამის აღწერა**

   2022 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა.

   აღნიშნული კანონის აღსრულების მიზნით, 2022 წლის 1 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში შეიქმნა მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი.

   დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო აცხადებს კონკურსს, აღნიშნულ დეპარტამენტში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებით.

   სტაჟირების პროგრამა ორიენტირებული იქნება ამ პროგრამით განსაზღვრული პროფესიის სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემაზე.

2. **სტაჟირების დაწყებისა და დასრულების თარიღი**

   დასაწყისი: 2023 წლის 20 მარტი

   დასასრული : 2023 წლის 20 სექტემბერი

3. **სტაჟიორთა რაოდენობა და ანაზღაურება**

   სააგენტოში მისაღებ სტაჟიორთა რაოდენობა შეადგენს 3-ს

   - 2 სამართლის სპეციალიზაციის სტუდენტი
   - 1 ბიზნესის ადმინისტრების/ეკონომიკის სპეციალიზაციის სტუდენტი

   სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი.

4. **სტაჟირების პროგრამის ავტორი:**

   საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

   **სტაჟირების პროგრამის შემსრულებელი:**

   მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

5. **პროგრამის მიზანი:**

   - სტუდენტების პრაქტიკული, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო შესაძლებლობის შექმნა.
   - პროფესიონალების ზედამხედველობით და გამოცდილების გაზიარებით პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

- კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობა;
- მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**6. პროგრამის ბენეფიციარები:**

სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელი იქნება:

- მოქალაქეებისათვის, რომლებიც ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და სწავლობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ბაკალავრიატის დამამთავრებელ, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.

პროგრამის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სტუდენტები
- საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

**7. სტაჟირების პროგრამის მიმდინარეობის დეტალური აღწერა:**

➢ ეტაპი 1

2023 წლის 10 თებერვალს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადდება კონკურსი, სადაც მონაწილეობის მიღებას შეძლებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები

➢ ეტაპი 2

სტაჟირების პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა 2023 წლის 10 მარტის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ განაცხადი საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ელ. ფოსტაზე consumer@gnca.gov.ge, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- სტუდენტის სახელი და გვარი
- პირადი ნომერი
- ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ

კონკურსში მონაწილეობისთვის, იურიდიული/სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ სტატია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნაშრომი უნდა იყოს ქართულ ენაზე
- ნაშრომი უნდა იყოს მინიმუმ 3 გვერდი და მაქსიმუმ 5 გვერდი, შრიფტი - უნიკოდი (Sylfaen), რომლის ზომა უნდა შეადგენდეს 11-ს, ხოლო სტრიქონებს შორის დაშორება 1.15-ს;
- ფორმატი - ელექტრონული (MS Word ან PDF);
- ნაშრომი უნდა იყოს ორიგინალური, არ უნდა იყოს უკვე გამოქვეყნებული;
- ნაშრომი უნდა იყოს აქტუალური;
- ნაშრომი მიზნად უნდა ისახავდეს დარგში არსებულ დისკუსიაში ჩართვას ან ახალი დისკუსიის წამოწყებას, მასში უნდა იყოს მოცემული მყარი არგუმენტები და დასაბუთებული მოსაზრებები;
- ნაშრომი მნიშვნელოვანი უნდა იყოს სამართლის მეცნიერების განვითარებისთვის;
- ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის არსებობის შემთხვევაში, იგი სრულად უნდა იყოს დაცული;
- დაცული უნდა იყოს გამოყენებულ წყაროთა ციტირების სტილი (სტუდენტის არჩევანით) და მას უნდა ახლდეს ბიბლიოგრაფია.

კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებმა უნდა მოიძიონ მონაცემები (data) მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ, დაამუშავონ MS Excel ის საშუალებით, გააკეთონ შედეგების ვიზუალიზაცია (დეშბორდი,ინფოგრაფიკა ა.შ.) და ინტერპრეტირება.

- ნაშრომი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- ფორმატი - ელექტრონული (MS Excel, MS PowerPoint ან მონაცემთა ვიზუალიზაციის სხვა პროგრამა);
- ნაშრომში მითითებული უნდა იყოს დასამუშავებელი მონაცემების წყარო;
- ნაშრომში გამოყენებული მონაცემები უნდა იყოს ზუსტი;
- მონაწილემ ეფექტიანად უნდა მოახდინოს მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება;
-

➢ ეტაპი 3

ნაშრომები, რომლებიც ტექნიკურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, შეფასდება კომპეტენტური პირების მიერ შექმნილი კომისიის მიერ (სააგენტოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი, მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)

საუკეთესო ნაშრომების ავტორი სტუდენტები (2 სამართლის სპეციალიზაციის, 1 ბიზნესის ადმინისტრების/ეკონომიკის სპეციალიზაციის) სტაჟირებას გაივლიან საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტში.